ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1341946

ნომერი: AR1229908

თარიღი : 18.06.2014

გაცემის თარიღი : 24.06.2014

გაცნობის თარიღი : 27.06.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნავთისხევისა და საქარხნო რაიონის კავშირგაბმულობის სამინისტროს, საწარმოს შორის არსებული ტერიტორია, (ნაკვ. 01/078) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კონსტანტინე ლაბაძე პ/ნ 01001001276
- თბილისი ს.ზალდასტანიშვილის შეს. N 10

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ლევიკა კოდი: 205244886

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

# გადაწყვეტილება

საპროექტო ობიექტი: მცირე საწარმო (ღია ფარდული), ადმინისტრაციული შენობა, გაზის შემკრები ავზი (მიწის ქვეშ), საწვავის შემკრები ავზი (მიწის ქვეშ) და არტეზიული ჭაბურღილი;

ფუნქცია: საზოგადოებრივი, დამხმარე - ტექნიკური ნაგებობები;

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი (საკადასტრო გეგმა): #01.19.30.001.099;

მიწის ნაკვეთის ფართობი: 11185 კვ.მ

ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრა: სამრეწველო ზონა 2 (ს–2), სარეკრეაციო ზონა 3 (რზ–3) და სატრანსპორტო ზონა 1(ტზ–1);

ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრა:
სამრეწველო ზონა 2 (ს–2)–ს [არამეტრები არ გააჩნია;
სარეკრეაციო ზონა 3 (რზ–3) შემდეგი კოეფიციენტებით:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–1=0,3;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–2= 1,0;
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ–3= 0,5;

მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების დომინირებული ფუნქციური სახეობა:
სამრეწველო ზონა 2 (ს–2) – სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. ამ ზონას ასევე მიეკუთვნება ნაგავსაყრელის ტერიტორიები.
სატრანსპორტო ზონა 1(ტზ–1) – წარმოადგენს ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში – ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს, მიწისქვეშა შენობა-ნაგებობებს). (25.11.2011 N 12-55)
სარეკრეაციო ზონა 3 (რზ–3) – დასასვენებელი, სამკურნალო, სპორტული და გასართობი დანიშნულების ობიექტები.

შენიშვნა: 1) ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად: 2014 წლის 30 მაისს გაცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები №1268444, ძალადაკარგულად ჩაითვალოს, ახალი სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების ძალაში შესვლისთანავე.
2) ობიექტების სპეციფიკაციიდან გამომდინარე გათვალისწინებულ იქნეს თანამედროვე, ეკოლოგიურად უსაფრთხო მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენება;
3) გაზის შემკრები და საწვავის შემკრები ავზები განთავსდეს მიწისქვეშ;
4) იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ობიექტი თავისი მახასიათებლებით დაექვემდებარება მე-V კლასის ნაგებობას (იხ. დანართი), მშენებლობის ნებართვის სამივე სტადიას გასცემს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
5) დაცული იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი, საპროექტო ობიექტები განთავსდეს სამრეწველო ზონა 2 (ს–2)–ის არეალში (ხ. დანართი);

.

-საპროექტო ობიექტები განთავსდეს ს–2–ის მოქმედების არეალში საკადასტრო რუკით დადგენილი საზღვრების ფარგლებში ”ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მუხლი 34-ის

მიხედვით;
-შენობის მიწისქვეშა სივრცის გამოყენება მოხდეს საპროექტო ობიექტის ფუნქციის და ნაკვეთის შესაძლებლობის შესაბამისად;
- დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;
– ავტოსადგომები განთავსდეს საკადასტრო რუკით დადგენილ საზღვრების ფარგლებში;
– საჭიროების შემთხვევაში მშენებლობის ორგანიზაციის პროექტით გათვალისწინებული იქნეს არსებული ნაგებობის დემონტაჟი და სამშენებლო ნაგავის ტერიტორიიდან გატანა;
- გენგეგმა ნაკვეთთან მისასვლელი სამანქანო გზის ჩვენებით;

პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს:
– ინფორმაცია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე აქტის რეკვიზიტების მითითებით;
- საინჟინრო კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში, დაცულ იქნეს სამშენებლო ნორმები; გადატანის შემთხვევაში ცნობა შესაბამისი სამსახურებიდან;

მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს წარმოდგენილი იქნეს:
– მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა;
- საინფორმაციო დაფის (ბანერის) ახლო და შორი მანძილიდან გადაღებული ფოტოები;
- მშენებლობის ორგანიზების პროექტი (მხოლოდ უნდა მოიცავდეს მშენებლობის განხორციელებისგრაფიკს მშენებლობის ეტაპების ხანგძლივობის გათვალისწინებით);
- მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (გადახდილი საპროექტო ობიექტის განაშენიანების ფართობის მიხედვით 1 კვ.მ-ზე 1 ლარის ოდენობით.

მშენებლობის დაწყებამდე დამკვეთმა სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით შემდეგი დოკუმენტაცია:
-საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ;
- შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული პროექტი და ტექნოლოგიური სქემა ობიექტების კლასიდან გამომდინარე;
-საჭიროების შემთხვევაში სავალდებულო საექსპერტო შეფასება საპროექტო ობიექტის კლასიდან გამომდინარე;
- საჭიროების შემთხვევაში საექსპერტო შეფასების განხორციელება მომიჯნავედ არსებული შენობა–ნაგებობის მდგრადობის შესახებ;
-საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობის და მიწის ნაკვეთის კვლევა;
– საჭიროებისამებრ მავნე ნივთიერებების ემისიების ინვენტარიზაცია და დასკვნა იმის შესახებ, რომ მავნე ნივთიერებების რაოდენობა არ აღემატება დასაშვებ ზღვრულ რაოდენობას;

ტერიტორია კეთილმოეწყოს და გამწვანდეს;
- ტერიტორიაზე ხე ნარგავების არსებობის შემთხვევაში მაქსიმალურად შენარჩუნებული იქნას ისინი. ხის მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში აღებული იქნეს შესაბამისი ნებართვა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების საქალაქო სამსახურისგან;

არქიტექტურულ პროექტში გათვალისწინებული იქნეს:
- ფანჯრების, ფრამუგებისა და კარის სპეციფიკაცია;
- დამცავი საშუალებების (ჟალუზების და გისოსების ერთიანი გადაწყვეტა მოხდეს შენობის ინტერიერის შიდა სივრცეში) განთავსება მოხდეს შიდა მხრიდან;
- შენობის სახურავის გეგმა (საკადასტრო საზღვრის პროექციის ჩვენებით) გადახურვის მასალისა და ფერის მითითებით;
- შენობა-ნაგებობის ფასადები, ჭრილები, გეგმები;
- გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;
– გამოიყოს ადგილი სანაგვე ყუთების განსათავსებლად;
– მოეწყოს პანდუსი უნარშეზღუდულ პირთა თავისუფალი გადაადგილებისთვის;

მშენებლობის ნებართვა გაიცემა ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების შესაბამისად. მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველი სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.

2009 წლის 17 აპრილიდან კოეფიციენტების ანგარიში ხდება ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მუხლი 15, 16, 17-ის შესაბამისად ;

არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა წარმოდგენილი უნდა იქნეს ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”- საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების მუხლი 47-ის შესაბამისად:

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.